

„საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ“



2020 წლის იანვრის საპროტესტო აქციებისა და სასამართლო პროცესების
მონიტორინგის შუალედური შედეგები

მონიტორინგის მიმდინარე ანგარიში მომზადდა „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ მიერ (DRI) პროექტის „საპროტესტო აქციები დაკვირვების ქვეშ“ ფარგლებში. პროექტი მხარდაჭერილია „ღია საზოგადოების ფონდის“ მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა მოხდეს მისი აღქმა „ღია საზოგადოების ფონდის“ ოფიციალურ მოსაზრებად.

მონაცემთა დამუშავება და მონიტორინგი: გიორგი წიქარიშვილი, ქეთევან მურღულია, თათია კონიაშვილი, გიორგი გამხიტაშვილი

გამოცემაზე პასუხისმგებელი: უჩა ნანუაშვილი, თამარ ხიდაშელი

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“

www.democracyresearch.org

ელ.ფოსტა: info@democracyresearch.org

2020 წლის იანვრის საპროტესტო აქციებისა და სასამართლო პროცესების მონიტორინგის შუალედური შედეგები

1. მეთოდოლოგიური ჩარჩო

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“ 2019 წლის 30 დეკემბრიდან აკვირდება თბილისში, პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო მოძრაობების მიერ ორგანიზებულ პოლიტიკური შინაარსის საპროტესტო აქციებს. პროექტის ფარგლებში პროექტის დამკვირვებლები საპროტესტო აქციებისას დაკავებული დემონსტრანტების სასამართლო პროცესებსაც დააკვირდნენ. საპროტესტო აქციებსა და სასამართლო პროცესებს ოთხი მონიტორი დააკვირდა.

პროექტის საწყის ეტაპზე, პროექტით გათვალისწინებული საქმიანობების შესახებ ინფორმაცია მივაწოდეთ ყველა დაინტერესებულ მხარეს და შევხვდით სამოქალაქო მოძრაობების - „სირცხვილია“, „გაბედე“ და „შეცვალეს“ წარმომადგენლებს.

წინამდებარე მონიტორინგის ანგარიში მოიცავს პერიოდს 2019 წლის 30 დეკემბრიდან 2020 წლის 30 იანვრს ჩათვლით. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაციის დამკვირვებლები თორმეტ აქციას და შვიდ სასამართლო სხდომას დააკვირდნენ.

მონიტორინგისას ყურადღება გამახვილდა საპროტესტო აქციებისა და დემონსტრაციების ზოგად აღწერაზე. ანგარიშში ასევე შეფასდა საპროტესტო აქციებთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წესით დაკავებებისა და სასამართლოებში სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის პრაქტიკა.

პროექტის ფარგლებში მშვიდობიანი შეკრების თავისუფლების შესახებ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (OSCE/ODIHR) სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით შევიმუშავეთ შეკრებებისა და დემონსტრაციების მონიტორინგის სპეციალური ფორმა, რომლის დახმარებითაც ჩართული დამკვირვების პროცესში მნიშვნელოვანი ფაქტებისა და დარღვევების სისტემატიზაცია შევძელით. ორგანიზაციის იურისტების ჯგუფმა ასევე შეიმუშვა სპეციალური კითხვარი, რომლის საშუალებითაც სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას, როგორც პროცედურული, ასევე, სამართლიან სასამართლოსთან დაკავშირებული საკითხები შევაფასეთ.

გარდა ამისა, მონიტორინგის ფარგლებში:

- საჯარო დაწესებულებებიდან გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია
- გავანალიზეთ საპროტესტო აქციების მსვლელობისას სამოქალაქო აქტივისტების ფოტო-ვიდეო მასალა
- საპროტესტო აქციების მსვლელობისას მედიის მიერ გადაღებული ფოტო-ვიდეო მასალა დამხმარე წყაროდ გამოვიყენეთ.

2. საპროტესტო აქციების მონიტორინგის შედეგები

დეკემბრის ბოლოს და იანვარში გამართული აქციების ორგანიზატორები ძირითადად იყვნენ

სამოქალაქო მოძრაობები - „გაბედე“, „შეცვალე“ და „სირცხვილია.“ აქციების მონაწილეთა რაოდენობა 20-დან 100-მდე მერყეობდა. დემონსტრანტთა დაახლოებით ნახევარი იყო ქალი.

აქციების ძირითადი მოთხოვნები იყო: პროპორციული საარჩევნო სისტემის დანერგვა, სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირთა თვითნებობის აღკვეთა და სავარაუდოდ პოლიტიკური ნიშნით დაკავებული პატიმრების გათავისუფლება. სამოქალაქო მოძრაობები ასევე სოლიდარობას უცხადებდნენ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად მოკლული თემირლან მაჩალიკაშვილის მამას - მალხაზ მაჩალიკაშვილს.

2019 წლის 31 დეკემბრის აქციის გამოკლებით, აქციები ძირითადად მშვიდ ვითარებაში წარიმართა. დაკვირვებული 12 აქციიდან 2 შემთხვევაში სამართალდამცავები და აქციის მონაწილეები ერთმანეთს სიტყვიერად დაუპირისპირდნენ. ერთ აქციაზე შელაპარაკება მოხდა დემონსტრანტებსა და მმართველი პარტიის აქტივისტებს შორის.

დემონსტრანტები არ იყენებდნენ აქციის გამართვის თაობაზე წინასწარი წერილობითი გაფრთხილების მექანიზმს, შესაბამისი ვალდებულების/საჭიროების არარსებობის გამო. პოლიციელების მიმართ აქციის მონაწილეების დამოკიდებულება იყო ნეიტრალური, თუმცა დემონსტრანტები გამოთქვავდნენ უკმაყოფილებას, რომ „მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის ნაცვლად“, პოლიცია „მომალადე პოლიტიკოსებს“ იცავდა.

აქციებზე მობილიზებული სამართალდამცავების პასუხი, ძირითადად იყო პროპორციული. თუმცა, დამკვირვებელთა შეფასებით, ცალკეულ შემთხვევებში პოლიციელები მოქმედებდნენ არა კანონის, არამედ ზემდგომთა მითითებების შესაბამისად, რაც დაკავებულ დემონსტრანტთა სასამართლო პროცესებზეც გამოიკვეთა. კერძოდ, 2019 წლის 31 დეკემბრის აქციაზე, ჩვენი შეფასებით, ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან მიკერძოებას, ძალის გადამეტებას და ზოგ შემთხვევაში, უმოქმედობას, ხოლო მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის მხრიდან საპოლიციო ფუნქციების შეთავსებას.

დაკვირვების ძირითადი მიგნებები

2.1. თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის მიერ საპოლიციო ფუნქციების შეთავსება

2019 წლის 31 დეკემბერს ხელისუფლებამ ქალაქ თბილისის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურისა და თბილისის დასუფთავების სამსახურის თანამშრომლები პარლამენტის წინ განლაგებულ დემონსტრანტთა დასაშლელად და მათი კუთვნილი პირადი ნივთების გასატანად გამოიყენა. საპროტესტო აქციებისა და დაკავებულთა სასამართლო პროცესების მონიტორინგისას გამოიკვეთა მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის თანამშრომლების მხრიდან უფლებამოსილების შესაძლო გადამეტების [ფაქტები](#), კერძოდ:

- საპოლიციო ფუნქციათა შეთავსება - დემონსტრანტების მათი ნების საწინააღმდეგოდ გაყვანა საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან;
- საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიიდან დემონსტრანტთა კარვების და პირადი ნივთების გატანა და ამ პროცესში ძალის გამოყენება.

უსაფრთხოების საქალაქო სამსახურისა და დასუფთავების სამსახურის დახმარებით, მერიის და შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა დემონსტრანტებს პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია დაატოვებინეს, სადაც ბავშვთა გასართობი სივრცე მოეწყო. საახალწლო ღონისძიებების დასრულების შემდეგ, თბილისის მერიამ სრულად შემოღობა პარლამენტის წინ მდებარე ტერიტორია სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების [მოტივით](#). „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა“ ქალაქის მერიიდან გამოითხოვა დოკუმენტები, რომლებიც, სრულად მოწოდების შემთხვევაში, მოგვცემს აღნიშნული სარეაბილიტაციო სამუშაოების დაგეგმვის, მომზადების, მიზანშეწონილობის და მათი კანონმდებლობასთან შესაბამისობის შეფასების შესაძლებლობას.¹

2.2. აქციების რეგულირება სამართალდამცავთა მიერ

რიგ შემთხვევებში, შეკრების ადგილზე მობილიზებული სამართალდამცავების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატებოდა აქციის მონაწილეობის რაოდენობას. „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ დამკვირვებლებმა ასევე არაერთხელ შენიშნეს სამოქალაქო ტანსაცმელში ჩაცმული პირები, რომელთა ხშირმა და უშუალო კომუნიკაციამ სამართალდამცავებთან, გავიჩინა ეჭვი, რომ აღნიშნული პირები ასევე წარმოადგენდნენ სამართალდამცავ ორგანოებს, სათანადო მაიდენტიფიცირებული უნიფორმის და ნიშნის გარეშე.

ცალკეულ შემთხვევებში სამართალდამცავთა ქმედებები ქაოტური, ცუდად ორგანიზებული და დაუსაბუთებელი იყო. დამკვირვებელთა შეფასებით, ცალკეულ შემთხვევებში პოლიციელები მოქმედებდნენ არა კანონის, არამედ ზემდგომთა მითითებების შესაბამისად, რაც დაკავებულ დემონსტრანტთა სასამართლო პროცესზეც გამოიკვეთა.

ერთ შემთხვევაში,² მიუხედავად იმისა, რომ აქციის მონაწილეების სახელზე დაშვებული იყო საშვი, სამართალდამცავებმა დემონსტრანტები პარლამენტის შენობაში სისტემის „გაუმართაობის“ მიზეზით არ შეუშვეს. მეორე შემთხვევაში,³ საკრებულოს შენობაში შესვლის შესაძლებლობა არ მისცეს არც აქციის მონაწილეებს და არც პარლამენტის დეპუტატებს პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“, რაც საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მოთხოვნას წარმოადგენს.⁴

ერთ-ერთ აქციაზე დემონსტრანტებისა და მათი მოწინააღმდეგე პოლიტიკური პარტიის აქტივისტების დაპირისპირებისას, სამართალდამცავებმა არ სცადეს განემუხტათ სიტუაცია და აღმოეფხვრათ კონფლიქტი.

¹ „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ 2020 წლის 30 იანვრის №2020013043 წერილი.

² 2020 წლის 21 დეკემბერს, როდესაც პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის სხდომაზე სახალხო დამცველს უსმენდნენ. კომიტეტის სხდომას ესწრებოდა იუსტიციის მინისტრიც.

³ 2020 წლის 27 იანვარს, როდესაც აქციის მონაწილეები საკრებულოს დეპუტატის ლევან ხაბეიშვილის ცემას აპროტესტებდნენ.

⁴ საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-1 პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლება აქვს შეუფერხებლად შევიდეს ყველა სახელმწიფო დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

სასამართლო პროცესებზე დაკვირვების შედეგები

„დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის“ დამკვირვებლები დააკვირდნენ 2019 წლის 31 დეკემბერს, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, წვრილმანი ხულიგნობის⁵ და სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის⁶ საფუძველზე დაკავებული სამოქალაქო აქტივისტების⁷ სასამართლო პროცესებს (3 პროცესი, ჯამში 7 სასამართლო სხდომა⁸).

ტექნიკური დარღვევები

თითქმის ყველა სხდომა (ერთის გარდა) დაგვიანებით დაიწყო, რის მიზეზადაც შეიძლება დავასახელოთ საქმის მთავარი სხდომის წინ დარბაზის მოულოდნელი ცვლილება (ოთხ შემთხვევაში), აღნიშნული ინფორმაციის შესაბამის ვებ-გვერდსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს საინფორმაციო დაფაზე სათანადო წესით განთავსების გარეშე, მოსამართლის დაგვიანებით გამოცხადება (ორ შემთხვევაში), მხარის დაგვიანებით გამოცხადება (ერთ შემთხვევაში).

საქმეზე არსებული მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მიუხედავად, სხდომათა დარბაზის მოცულობიდან გამომდინარე, მსურველთა უმრავლესობამ ვერ შეძლო პროცესებზე დასწრება.

სამართალდამცავებზე დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების ფაქტები

მოწმეთა დაკითხვის პროცესში, მოწმედ დაკითხული პატრულ-ინსექტორების და კრიმინალური პოლიციის წარმომადგენელთა ნაწილმა განაცხადა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოთხოვნათა⁹ საწინააღმდეგოდ, დემონსტრანტებს დაკავების მომენტში არ განუმარტეს:

- მათ მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და დაკავების საფუძველი
- უფლება ადვოკატზე
- უფლება, მათი სურვილის შემთხვევაში, დაკავების ფაქტი და ადგილსამყოფელი ეცნობოს მათ მიერ დასახელებულ ახლობელს.

გარდა ამისა, ორმა პატრულ-ინსპექტორმა განაცხადა, რომ აქციის მონაწილეთა დაკავების პროცესში ჩართული არ ჰქონდა სპეციალური ვიდეოგადამღები ტექნიკა,¹⁰ რაც შეიძლება მივიჩნიოთ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობის არაჯეროვან შესრულებად.

სასამართლო სხდომებზე მტკიცებულებების გამოკვლევის ეტაპზე გამოიკვეთა, რომ პირთა დაკავებისას შედგენილი თითქმის ყველა სამართალდარღვევის ოქმი ერთმანეთის იდენტური

⁵ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 166.

⁶ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 173.

⁷ შოთაძე, ფარულავა, რუხაძე, ბერმენიშვილი, ბურდული, კოკაია, მუმლაძე, მჟავანაძე.

⁸ 8 იანვარი, 14 იანვარი, 23 იანვარი; 13 იანვარი, 20 იანვარი, 22 იანვარი.

⁹ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 245.

¹⁰ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 24, პუნქტი 1 და 2.

იყო, რაც შეიძლება მიანიშნებდეს, რომ პატრულ-ინსპექტორებმა აღნიშნული ოქმები ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით არ შეადგინეს. ასევე გამოიკვეთა არსებითი წინააღმდეგობები მოწმის სახით სასამართლოში დაკითხულ პატრულ-ინსპექტორთა ჩვენებებსა და ვიდეო-კადრებში რეალურად დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს შორის.

ხაზგასასმელია, რომ სასამართლომ საქმის არსებით განხილვაზე ერთი არარელევანტური მტკიცებულებები დაუშვა, კერძოდ: შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მტკიცებულების სახით წარმოდგენილ ვიდეო-მასალაში საერთოდ არ ფიგურირებდა ერთ-ერთი დაკავებული პირი (ნ.რ). შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ვიდეო-მტკიცებულებებში ექვსი დაკავებულის წინააღმდეგ, არა თუ არ დამტკიცდა დაკავებულ პირთა მხრიდან საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული ქმედების ჩადენა, არამედ პირიქით, გაქარწყლდა შსს-ს მოწმეთა ჩვენებები.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხდომათა დარბაზში სათანადო აღჭურვილობის უქონლობის გამო, მხოლოდ პროცესის მხარეებმა შეძლეს საქმეზე მტკიცებულებად წარმოდგენილი ვიდეო-მასალების სრულად გაცნობა, რაც არ შეესაბამება მტკიცებულებათა გამოკვლევის საჯაროობის პრინციპს.

სასამართლო გადაწყვეტილება

სასამართლო, გადაწყვეტილების მიღებისას, დაეყრდნო მტკიცებულების სახით წარდგენილ ვიდეო-მასალას, რის გამოც დაკავებულ პირთა უმრავლესობის მიმართ შეწყდა სამართალწარმოება. აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ სასამართლომ სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლისათვის სიტყვა - „მონის“ დამახეხა ჩათვალა პირისათვის შეურაცხყოფის მიყენებად და, აქედან გამომდინარე, აღნიშნული ქმედება მიიჩნია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართალდარღვევად.